მარქსისტული ეპისტემოლოგიის ფუნქციები იდეოლოგიისა და სასაქონლო ფეტიშიზმის კონცეპტების მაგალითზე

გიორგი ბრეგვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მაისურაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ბრეგვაძე

25.06.2021

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ცდილობს აჩვენოს მარქსისტული ეპისტემოლოგიის ფუნქციები და აღწეროს ცნობიერებაზე საზოგადოებრივი ურთიერთობების დომინაციის თეორიული კონსტრუქტი, რისი დაფუძნების მცდელობაც მარქსის მიერ იდეოლოგიის კრიტიკული კონცეფციის შემოტანით იწყება, შემდგომ კი, სასაქონლო ფეტიშიზმის თეორიით განახლდება. ამასთან, ნაშრომში გამომჟღავნებულია იდეოლოგიის ტოტალური კონცეფციის გადალახვის მცდელობები და წარმოდგენილია წინამდებარე ნაშრომის ცენტრალური კონცეპტების, იდეოლოგიისა და სასაქონლო ფეტიშიზმის როგორც საერთო ელემენტები, ისე მათ შორის არსებული დისტანცია.

მარქსისტული ეპისტემოლოგიის ფუნქციების აღსაწერად, ნაშრომში გამოყენებულია ერთი მხრივ, მარქსის მიერ განვითარებული მსჯელობა, რომლის მიხედვითაც ცნობიერებას ყოფიერება (ძირითადად ეკონომიკური ურთიერთობები) განსაზღვრავს, მეორე მხრივ კი, „კაპიტალში“ განვითარებული იდეოლოგიის კონცეფციის ერთგვარი თეორიული ალტერნატივა, რომლის მიხედვითაც, ცნობიერება საკუთარ თავს იმდენად გადალახავს, რომ აბსტრაქციების წარმომშობი ხდება და რომელიც ცნობიერებასა და ყოფიერებას შორის გახლეჩას იწვევს. ამასთან, ნაშრომი შეეხება პოსტმარქსიზმსა და ნეომარქსიზმში განვითარებულ იდეოლოგიისა და სასაქონლო ფეტიშიზმის პრობლემატიკასაც, რომელიც თეორიული განსხვავებების მიუხედავად, ცენტრალურ ეპისტემოლოგიურ საკითხად რჩება.

საძიებო სიტყვები: ეპისტემოლოგია, მარქსიზმი, იდეოლოგია, სასაქონლო ფეტიშიზმი, ცნობიერება, დომინაცია, რეალური აბსტრაქცია, რეიფიკაცია

Abstract

The present thesis aims to demonstrate the functions of Marxist epistemology and to describe the theoretical construct of the domination of public relations over consciousness; the attempt of its establishment begins with Marx's introduction of a critical conception of ideology and then resumes with the theory of commodity fetishism. Herewith, the study divulges attempts to overcome the total concept of ideology and presents both the common elements of the central concepts of this study, ideology and commodity fetishism, as well as the distance between them.

To describe the functions of Marxist epistemology the thesis utilizes Marx's reasoning that consciousness is defined by being (mainly economic relations) on the one hand, and, on the other hand, a theoretical alternative to the concept of ideology developed in *Capital*, according to which consciousness overcomes itself to such an extent that it becomes the creator of abstractions that cause a split between consciousness and being. Furthermore, the paper deals with the problem of ideology and commodity fetishism developed in post-Marxism and neo-Marxism, which, despite the theoretical differences, remains a central epistemological issue.

Keywords: Epistemology, Marxism, Ideology, Commodity Fetishism, Counsciousness, Domination, Real Abstraction, Reification

მადლობა

პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო გიორგი მაისურაძეს, რომელმაც აკადემიური პროცესისგან ჩემი წყვეტის მიუხედავად, ნდობა გამომიცხადა, დამთანხმდა სამეცნიერო ხელმღვანელობაზე და ნაშრომის წერის პროცესში მნიშვნელოვანი კონსულტაციები გამიწია. განსაკუთრებული მადლობა მარიამ პაიჭაძესა და ნინო მიქაშავიძეს, რომლებმაც ნაშრომში არსებული კონცეპტების ენობრივი სირთულეები დამაძლევინეს. მადლობა მათ და კიდევ ბევრ მეგობარს, რომლებიც წერის პროცესში ემოციურად მიჭერდნენ მხარს. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ამხანაგსა და მეგობარს, რომლებთან პრაქტიკულმა თუ თეორიულმა ურთიერთობამ, მარქსისტული ფილოსოფიის ფართო ველში შემიყვანა და სხვადასხვა ასპექტში გამარკვია. ასევე, მადლობა ელენე ლადარიას, რომლის მიერ თარგმნილი ეტიენ ბალიბარის წიგნი, *მარქსის ფილოსოფია* მნიშვნელოვანი გზამკვლევი აღმოჩნდა და აღნიშნული საკითხის მიმართ აკადემიური ინტერესი გამიცოცხლა. ასევე, მადლობა გიგა ზედანიას, რომელთან სხვადასხვა კურსზე დებატებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კრიტიკულად შემეხედა წინამდებარე ნაშრომის თემებისადმი და რიგ ასპექტებში რედუქციონისტული მიდგომები გადამეაზრებინა.